

არასრულწლოვნის მიმართ ჩასატარებელი/ჩატარებული სასამართლო-
ფსიქიატრიული ექსპერტიზის ხარვეზები საქართველოში

გიორგი ბეგაშვილი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის
ფაკულტეტზე სისხლის სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების
მოთხოვნების შესაბამისად*

სისხლის სამართლის სამაგისტრო პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ანტონ ქელბაქიანი



ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2020

განაცხადი

როგორც წარდგენილი ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

გიორგი ბეგაშვილი

30.06.2020

აბსტრაქტი

ხშირია პრაქტიკაში შემთხვევები, როდესაც სისხლისსამართლებრივი დანაშაულის ჩადენას ბავშვები შეესწრებიან და ისინი ხდებიან გამოძიებისათვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინფორმაციის მატარებელი წყაროები. მათ უწევთ საგამოძიებო ორგანოებსა თუ სასამართლოში იმ სიტუაციისა და ინფორმაციის გადაცემა, რომელსაც ნახავენ. გარდა ამისა, არც თუ ისე იშვიათია შემთხვევები, როდესაც არასრულწლოვან პირს მოწმედ გამოკითხვის დროს უჭირს დანაშაულის ჩადენის შესახებ მომხდარი ფაქტების სწორად გადაცემა რისი მიზეზიც შეიძლება ბევრი ფაქტორი იყოს (მაგ: სტრესი, შიში, მოლოდინი იმისა, რომ მის მიერ გამჟღავნებული ინფორმაცია მისთვისვე იქნება ნეგატიური შედეგის მომტანი და ა.შ). გარდა ამისა, პრაქტიკაში არც თუ ისე ცოტაა შემთხვევა, როდესაც არასრულწლოვანს შეენიშნება ისეთი ნიშნები, რაც კითხვის ქვეშ აყენებს მის მიერ გადმოცემული ინფორმაციის ნამდვილობასა და სანდოობას, იქნება იგი ბრალდებული, მოწმე თუ დაზარალებული.

ზემოაღნიშნული საკითხების მოსაგვარებლად და ასევე, იმის დასადგენად, თუ რამდენად შეუძლიათ არასრულწლოვან პირებს სწორად და სრულად გადმოსცენ ის ინფორმაცია, რომელსაც ისინი ფლობენ, საქართველოს კანონმდებლობა ითვალისწინებს შესაბამისი ექსპერტიზის ჩატარებას, რომელიც დაადგენს არასრულწლოვან პირს შეუძლია თუ არა სრულყოფილად და სწორად ჩამოაყალიბოს, გაიაზროს, გააანალიზოს და გადმოსცეს ის ინფორმაცია, რომელიც მან იცის.

კვლევის მიზანია განხილულ იქნას ყველა ის ხარვეზი და პრობლემა, რომელიც არსებობს როგორც პრაქტიკაში, ასევე საკანონმდებლო დონეზე არასრულწლოვანი პირების გამოკითხვისას და სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზის ჩატარებაში. აღნიშნული კვლევის მიზნის მისაღწევად, მნიშვნელოვანია ნაშრომში გაანალიზდეს საქართველოს კანონმდებლობაში არსებული შესაბამისი ნორმები, ასევე განხილულ იქნას საერთაშორისო რეკომენდაციები და კანონმდებლობები. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია ისეთი ადამიანების გამოკითხვა, რომელთაც პრაქტიკაში აქვთ შეხება

ზემოთ ხსენებულ საკითხთან. მნიშვნელოვანია ასევე, ექსპერტიზის ბიუროდან მოცემული კვლევისათვის საჭირო ინფორმაციის გამოთხოვა და მისი შეფასება.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კვლევის შედეგად გამოიკვეთა რამდენიმე მნიშვნელოვანი პრობლემური საკითხი, რომელთა მოგვარებაც დადებითი გავლენის მქონე იქნება როგორც საქართველოს კანონმდებლობაზე, ასევე პრაქტიკაზე. შესაბამისად, აღნიშნული პროცესი უფრო სწრაფად და ეფექტურად განხორციელდება.

ძირითადი სამიზნო სიტყვები: არასრულწლოვანი, სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზა, ექსპერტი, რეკომენდაცია.

Abstract

In practice, there are frequent cases when juveniles witness a criminal offense and they become one of the sources of important information for the investigation. They have to report the situation and information they have seen to the investigating authorities or the court. In addition, it is not uncommon that during the interrogation of a juvenile witness, it is difficult, from him to receive the facts about the crime correctly, which can be caused by many factors.(eg, stress, fear, expectation that the information disclosed by him will have a negative effect on him etc). Moreover, in practice, it is not uncommon for a juvenile to show signs of questioning the authenticity and credibility of the information provided by him, whether he is accused (charged), a witness or a victim.

In order to resolve the above mentioned issues and also to determine whether minors can properly and fully convey the information they possess, Georgian law provides for an appropriate examination (expertise) to determine whether a minor can formulate, understand, analyze and transmit properly the information he knows.

The aim of the study is to discuss all the shortcomings and problems that exist in practice, as well as in the survey of juveniles at the legislative level and in conducting forensic psychiatric examinations. In order to achieve the goal of this research, it is important to analyze the relevant norms in the legislation of Georgia in this paper (work), as well as to discuss international recommendations and legislation. Furthermore, in order to achieve the goal of the research, it is important to interview people who in practice have contact with the above-mentioned issue. It is also important to request information from the Bureau of Expertise for the study and evaluate it.

Based on all the above, the research revealed several important problematic issues, the solution of which will have a positive impact on both Georgian legislation and practice. Consequently, this process will be carried out faster and more efficiently.

Keywords: a juvenile or a minor, forensic psychiatric examination, expert, recommendation.